ა(ა)იპ საერთაშორისო
განათლების აკადემია ბიდისი
საქართველო. თბილისი, 0102
აღმაშენებლის გამზირი 189.
ტელ; (+995 32) 251 47 30
(+995 593) 25 25 08
bdc.academy@gmail.com
www.bdc-academy.ge

N(N)LE INTERNATIONAL
EDUCATIONAL
ACADEMY BDC
DAVIT AGMASHENEBELI
Ave N189 , 0102, Tbilisi, Georgia
TEL: (+995 32) 251 47 30
(+995 593) 25 25 08
bdc.academy@gmail.com
www.bdc-academy.ge

29/09/2025

№ 00000049

ქ. თბილისი

ბრძანება
2025 წლის აპლიკანტთა საშემოდგომო მიღების ფარგლებში მე-4 საფეხურის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე " კომპიუტერული ქსელი და სისტემები" შერჩევის ვადებისა და კომისიების შემადგენლობის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N 42/ნ ბრძანების "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N 35 ბრძანებით დამტკიცებული "ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" და ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს **მე-4 საფეხურის საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** აპლიკანტთა შიდა შერჩევის მოტივაციური გასაუბრება ჩატარდეს 2025 წლის **7 ოქტომბერს**: პირველი ნაკადი-12.00 საათზე; მე-2 ნაკადი - 14.00 სთ;
2. სსსმ პირთა შიდა შერჩევისთვის "პრაქტიკული მოსინჯვა" ჩატარდეს 2025 წლის **08 ოქტომბერს,**12 სთ;
3. საპატიო მიზეზის საფუძველზე, განსხვავებულ თარიღში აპლიკანტთა შეფასების მიზნით განცხადების წარდგენის ვადაა 2025 წლის **13 ოქტომბრისა, 12 სთ;**
3.1. სსსმ პირთა შიდა შერჩევისთვის "პრაქტიკული მოსინჯვა" -არაუგვიანეს 2025 წლის **15 ოქტომბრისა, 12 სთ;**
4. აპლიკანტთა ინფორმირება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აპლიკანტა მიერ ასახული მონაცემების მეშვეობით; შესაბამისი ინფორმაცია განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე **www.bdc-academy.ge** არა უგვიანეს 2025 წლის 0**3 ოქტომბრისა**;
5. შერჩევის პროცედურული დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრების მიღების ვადაა შეფასებიდან არაუგვანეს მეორე დღე, ხოლო შედეგის გასაჩივრებისა - შეფასების გაცნობიდან არაუგვაინეს 2 დღე. აპელაციისთვის პირმა აკადემიის ადმინისტრაციას ან/და სააპელაციო კომისიას უნდა მიმართოს განცხადებით საქართველოს ადმინსტრაციული კოდექსის თანახმად (თანდართული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, არასრულწლოვანის შემთვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის ასლი და წარმომადგენლობის დამდასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა) ასლი)

6. სააპელაციო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია:
6.1. მატერიალური სახით აკადემიის მისამართზე: **თბილისი, 0102 აღმაშენებლის გამზირი 189.**
6.2. ელექტრონული სახით აკადემიის ელ-ფოსტაზე: bdc.academy@gmail.com
7. აპლიკნტთა შერჩევისა და შეფასების მიზნით განისაზღვროს კომისია შემდეგი შემადგენლობით:
7.1. შათირიშვილი ნათია - ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
7.2. შათირიშვილი ბარბარე - ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კომისიის მდივანი;
7.3. ბეროზაშვილი ალექსი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხელმძღვანელი ;

8. აპლიკანტთა აპელაციასთან დაკავშირებული განაცხადების განხილვისთვის განისაზღვროს სააპელაციო კომისია და ვადები შემდეგი სახით:
8.1. სააპელაციო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
8.1.1. ნანა ქაშიბაძე - ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს სასწავლო პროცესის მენეჯერი, კომისიის თავმჯდომარე;
8.1.2. ბერაძე თეა - ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს ბიბლიოთეკარი, მდივანი;
8.1.3. პოღოსოვი სვეტლანა - ა (ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი-ს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
8.2. სააპელაციო განცხადებების განხილვის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის **20 ოქტომბერი**;
9. იმ აპლიკანტებმა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შიდა შერჩევა და მოიპოვეს აკადემიაში ჩარიცხვის უფლება, სავალდებულო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ 2025 წლის **03 ნოემბრიდან 22 ნოემბრის** ჩათვლით;
10. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა და საკანონმდებლო მოთხოვნებზე პასუხისმგებლობა დაეკისროს სასწავლო პროცესის მენეჯერს ნათია ქაშიბაძეს;
11. ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის გაცმობა დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს სვეტლანა პოღოსოვს;
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6)

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი
დირექტორი
შათირიშვილი ნათია